## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
## გენერალური დირექტორი

**ბრძანება №2/24**

3 ოქტომბერი 2016წ. **ქ. თბილისი**

### კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

**გენერალური დირექტორი** **ნიკოლოზ ანთიძე**

ბრძანება N 2/24 ---- 08.02.2016

დანართი

| N | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. |  | ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი (ყოფილი მეტალურგთა კულტურის სასახლე) | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ქ. ჭიათურა, თხელიძის ქუჩა №5. | არქიტექტურის | XX საუკუნე (1967 წ.) |
| 2. |  | მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთი | მემორიალური | XX ს. (1974 წ.) |
| 3. |  | მეჩეთი | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. ადიგენი | არქიტექტურის | 1885-86 წწ. |
| 4. |  | მეჩეთი | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფლატე. | არქიტექტურის | 1927 წ. |